

გუბერნატორმა სამხატვრო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები მოუნახულა

29 დეკემბერი 2017

29 დეკემბერს გორის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების ცენტრის ანა ფერაძის სახელობის სამხატვრო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობა დაათვალიერეს ცენტრის ხელმძღვანელმა და გუბერნატორის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა.

სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესი ცენტრის დირექტორიმა გიორგი ნადიბიძემ შიდა ქართლის გუბერნატორს კახაბერ სამხარაძეს და გუბერნატორის მოადგიელს სიმონ გულედანს გააცნო.

შეგახსენებთ, სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარე წელს დაიწყო, ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების ცენტრის მიერ მოხდა შენობის გისოსებით შემოსაზღვრა, ასევე მიმდინარეობს შენობის გარე პერიმეტრის მოპირკეთების პროცესი, სარეაბილიტაციო სამუშაოები 2018 წლის პირველ ნახევარში დასრულდება.